ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7397190

ნომერი: AR11079857

თარიღი : 27.02.2025

გაცემის თარიღი : 04.03.2025

გაცნობის თარიღი : 13.03.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 61;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ხუროძე პ/ნ 01017010344
- კოსტავას ქ. 60

ორგანიზაცია:
- შპს "ბიზნეს ცენტრი მოზაიკა" კოდი: 404541670

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: პაატა ჭავჭანიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს „ბიზნეს ცენტრი მოზაიკა“
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404541670

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მიხეილ ბეგიაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024023623

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 6968617 (3642511; 27/10/2017)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 5.04.2024

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 05 აპრილის № 6968617 ბრძანებაში სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 ოქტომბრის №3642511 ბრძანებით შეთანხმებული იქნა ქ.თბილისში, (სექტორი – ჩუღურეთი), დავით აღმაშენებლის გამზ. N61–ში, შ.პ.ს. "ბიზნეს ცენტრი მოზაიკა"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის რეკონსტრუქციის (დაშენება) არქიტექტურული პროექტი;.

2024 წლის 05 აპრილის № 6968617 ბრძანებით ქ. თბილისი (სექტორი-ჩუღურეთი), დავით აღმაშენებლის გამზ.N61-ში, შ.პ.ს "ბიზნეს ცენტრი მოზაკა"-ს საკუთრებაში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.16.05.003.069), მრავალფუნქციური შენობის რეკონსტრუქციის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო, გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 05 აპრილიდან 2025 წლის 05 მარტის ჩათვლით.

2025 წლის 27 თებერვლის AR11079857 განცხადებით სამსახურს მომართა მოქ. ქეთევან ხუროძემ და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2024 წლის 05 აპრილის № 6968617 ბრძანებაში სამუშაოების დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელება.

სამსახურმა საკითხის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 05 აპრილის № 6968617 ბრძანებაში, კერძოდ ჩანაწერი "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 05 აპრილიდან 2025 წლის 05 მარტის ჩათვლით. „ შეიცვალოს ჩანაწერით: "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 04 მარტიდან 2026 წლის 04 თებერვლის ჩათვლით";
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 ოქტომბრის №3642511 და 2024 წლის 05 აპრილის № 6968617 ბრძანებებთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.